

სამეტყველო ბგერების განვითარება ორ წლამდე ასაკის ქართულენოვან  
ბავშვებში

ნელი ბუსქანძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ანთიძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

# სარჩევი

აბსტრაქტი .....	2
შესავალი.....	5
1.1 სამეტყველო ბგერების განვითარება.....	7
1.2 ბგერათა კლასიფიკაცია.....	11
1.3 ჩვილთა ვოკალიზაციის კლასიფიკაცია.....	14
1.4 ბგერების შეძენა .....	16
1.5 ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბგერების განვითარებაზე.....	19
1.5.1 სქესი.....	20
1.5.2 სოციო-ეკონომიკური სტატუსი.....	20
2. თავი კვლევის მიზანი და საკვლევო კითხვა .....	21
3. თავი კვლევის მეთოდოლოგია .....	22
3.1 კვლევის დიზაინი.....	22
3.2 კვლევის მონაწილეები .....	22
3.3 ინსტრუმენტები და პროცედურა.....	24
4. კვლევის შედეგები.....	25
5. დისკუსია.....	28
6. კვლევის შეზღუდვები .....	29
7. შეჯამება.....	30
8. თავი გამოყენებული ლიტერატურა .....	32
დანართი .....	34

## აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავდა ქართულენოვან ტიპურ ბავშვებში სამეტყველო ბგერების განვითარების ნორმების აღმოჩენასა და აღწერას, განვითარების ტიპური პროფილის შესაქმნელად. აუცილებელია გვექონდეს ინფორმაცია რომელი სამეტყველო ბგერების წარმოქმნა არის დამახასიათებელი ამა თუ იმ ასაკობრივი კატეგორიისთვის. სამეტყველო ბგერების წარმოქმნის ნორმაა ის ინსტრუმენტი, რომლის მიხედვითაც ენა მეტყველების თერაპევტები საზღვრავენ შეცდომების თავისებურებებს და სამეტყველო ბგერების დარღვევების ტიპებს.

გამოყენებული იყო აღწერითი კროს-სექციული კვლევის მეთოდი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 6- მა ტიპური განვითარების მქონე ბავშვმა 6 თვიდან 24 თვემდე ასაკობრივ კატეგორიაში. ბავშვები გადანაწილებულნი იყვნენ 7 ასაკობრივ კვუფში (6, 9, 12, 15, 18, 21, 24 თვე). კერძოდ, ორი ბავშვის მონაცემი იყო აღებული ლონგიტიდური კვლევიდან 12 თვის ასაკიდან 24 თვის ასაკამდე. ბავშვების ტიპური განვითარება შეფასდა ასაკების და ეტაპების კითხვარის ASQ-3 (Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ®-3) გამოყენებით, რომელიც შეავსო მშობელმა. შერჩეულ ბავშვებთან თამაშის პროცესზე დაკვირვებით ჩაიწერა თავისუფალი საუბრის (20 წუთი) ვიდეო და შემდეგ ამ მასალაზე დაყრდნობით მოხდა მეტყველების ანოტირება ფონეტიკური მიმართულებით, კომპიუტერული სისტემის PRAAT მეშვეობით.

შედეგებიდან გამოჩნდა, რომ ასაკის მატებასთან ერთად ბავშვები ეტაპობრივად იძენენ ქართული ენისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა სამეტყველო ბგერებს. ტიტინის პერიოდში ძირითადად ნეიტრალურ და წინა რიგის ხმოვან ბგერებს იყენებენ. ხშულ-მსკდომი მჟღერი თანხმომვნები, როგორცაა /ბ; დ/ ჩნდება მოგვიანებით. მათ სამეტყველო რეპერტუარში 1 წლის ასაკიდან შემოდის ცხირისმიერი ბგერები-/ მ; ნ/, სპირანტი-/ვ/ და უკანა რიგის ხმოვნები-/ყ,ო/. 2 წლის ასაკისთვის ბავშვები აწარმოებენ 26-მდე თანხმომვან ბგერას.

შეჯამება: ბავშვებს აქვთ შესაძლებლობები გამოთქვან სხვადასხვა ბგერები და საჭიროების მიხედვით ინდივიდუალურად იყენებენ მას. იმისთვის, რომ სამეტყველო ბგერების წარმოქმნის მიღებული შედეგები განვაზოგადოთ საჭიროა მეტი რაოდენობრივი მონაცემი.

სამიზნო სიტყვები: სამეტყველო ბგერების განვითარება, ჩვილთა ვოკალიზაციის კლასიფიკაცია, ბგერების შექმნა, ბგერათა კლასიფიკაცია.

Purpose: The aim of the study was to discover and describe the norms of speech development in typical Georgian-speaking children in order to create a typical developmental profile. It is necessary to have information on which speech sounds are characteristic in each age category. The norm for the production of speech sounds is the tool by which language speech therapists determine the features of errors and Types of speech disorders.

Method: A descriptive cross-sectional research method was used. The study involved 6 children with typical development in the age category of 6 months to 24 months. The children were divided into 7 age groups (6, 9, 12, 15, 18, 21, 24 months). In particular, data from two children were taken from a longitudinal study aged 12 months to 24 months. Children's typical development was assessed using the ASQ-3 (Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ®-3) age and stage questionnaire completed by a parent, and a 20 minutes video of a free conversation was recorded by observing the play with selected children and then based on this material, speech was annotated in the phonetic direction through the PRAAT computer system.

Result: The results showed that with growing up, children gradually acquire different speech sounds characteristic of the Georgian language. In the babbling period, mainly neutral and front-row sounds are used. Plosive consonants, such as / b; d / appears later. Their speech repertoire includes Nasal sounds from the age of 1- /m; n /, spirant-/v/ and back sounds- / u, ɔ /. By age 2, children produce up to 26 consonant sounds.

Summary: Children have the ability to express different sounds and use them individually as needed. In order to generalize the results obtained for the production of speech sounds, more quantitative data are needed.

Search Keywords: Speech development, Infant vocalization classification, Acquisition of sounds, Classification of sounds, Phonetics.